28 თებერვალი 2023 წელი

მესტიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სხდომის

ოქმი N-2

დ. მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-2

დ. მესტია 28.02. 2023წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ბ. ნაკანი, გ. გელოვანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, ზ. ფალიანი, ვ. ფილფანი, თ. დადეშქელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, მ. კვანჭიანი, ლ. ქალდანი, შ. გულედანი, რ. გვარმიანი, შ. ცინდელიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ა. რატიანი. ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, ვ. ჭკადუა, გ. ხვისტანი, დ. ჯაფარიძე, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, შ. რატიანი, მ.რატიანი, მ.გელოვანი, ლ.პაკელიანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთ. სპეციალისტი ა. უმფრიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთ. სპეციალისტი მ. გვარლიანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 19 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

11. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ'' მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"

/მომხსენებელი: ქ. ხარძიანი. თანამომხსენებელი შ.ცინდელიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N-41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: ნ. მაღედანი/

3. მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი: ბ.ნაკანი./

4. მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი რ.გვარმიანი./

5. რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი: მ. ნაკანი. თანამომხსენებელი მ. ხორგუანი./

6. მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის 2022 წლის ანგარიში.

/მომხსენებელი: ლ.გულედანი. თანამომხსენებელი ზ.ფალიანი./

7. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხსენებელი: ბ. მერლანი. თანამომხსენებელი ბ. ნაკანი./

8. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2021 წლის №68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

9. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

10. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის“ შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

11. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ვიკა ფილფანის ინიცირებული პროექტის ,,მესტიის მუნიციპალიტეტისთვის რეანომობილის შეძენის“ განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ფილფანი /

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------19

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.
საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის **28 თებერვლის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №გ-135.135230601**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ'' მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,საჯარო დაწესებულების თანამდებობის პირის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პირები, რომლებიც ვალდებული არიან პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია მიაწოდონ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს." ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების განხილვის მიმდინარეობის პროცესში აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა, ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ, რისთვისაც აუცილებელია გამართული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამართული მუშაობა, ისაუბრა ტექნიკურ ხარვეზებზე, აუცილებელია კვალიფიციური აიტიშნიკი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ'' მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №5 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. მაღედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N-41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა:
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, **„მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N-41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.**

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №-6 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ. ნაკანმა „მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. მომხსენებელმა გააცნო პროექტი შეცვლილი ფასით. მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 400-ს. აქედან გამომდინარე ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი გახდა 21-12ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №- 7 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა ისაუბრა საქართველოს მთავრობის განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ თანხების გადანაწილებაზე, გასული წლის ნაშთებზე და მუხლობრივ გადატანებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: დ. გვჩიანმა, ლ. პაკელიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------18

წინააღმდეგი ----- 1

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №- 4 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა „რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩატარდა კვლევა რომელ დარგში საჭიროებს მუნიციპალიტეტი აუცილებლობას, ისაუბრა პროექტის შესახებ. პროექტი სატესტოა, დაიხვეწება და მუდმივი სახე მიეცემა, ისაუბრა რეზიდენტთან დადებულ გარიგების ხელშეკრულებაზე, ხელშეკრულებაში ჩადებულ ვალდებულებებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა-- კომისიამ განიხილა პროექტი, იყო შენიშვნები, წინადადებები,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულებაN-გ-135. 135230273 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ზ. ფალიანმა მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის 2022 წლის ანგარიში.

მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, 2022 წელს მესტიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით დაგეგმილი პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 15 915 825 ლარი. მათ შორის საქართველოს მთავრობის განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ 9 ობიექტისთვის წლის დასაწყისში გამოყოფილი იქნა 3 251 128 ლარი, მაგრამ სამუშაოთა შესრულების მაღალი მაჩვენებლის გამო განკარგულებაში შევიდა ცვლილება და იგივე

[illegible] ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით დაფინანსდა 2 800 000 ლარის სამუშაოები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისთვის გამოყოფილი იყო 1 544 000 ლარი, სკოლებში მცირე სარემონტო სამუშაოებისთვის 85 000 ლარი და ადილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 5 054 697 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ლ. პირველმა, დ. გვიჩიანმა, გ. დადვანმა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის 2022 წლის ანგარიში.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება№-გ-135.135230274 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ. ნაკანმა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მესტიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახური ახორციელებს ელექტრონული, ან სხვა საშუალებებეის გამოყენებით მესტიის მუნიცპალიტეტის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას ადგილობრივი ბიუჯეტით, სახელმწიფო პროგრამებით, გრანტებით და სხვა შემოსავლებით. შესყიდვების სამსახურის მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა და საჯაროობის უზრუნველყოფა. 2022 წელს შესყიდვების სამსახურმა გააფორმა 239 ხელშეკრულება, აქიდან 57 ხელშეკრულება დაიდო ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, 10 კონსოლიდირებული ტენდერით, ხოლო 182 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე. შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს ყველა ხელშეკრულებისა და დოკუმენტის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: დ. გვიჩიანმა, გ. დადვანმა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------18

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება№-გ-135. 135.135230275 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2021 წლის №68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააკეთა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ კომისიებში წარდგენილი წევრების კომისიაში დანიშნულად მიღების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.12.2021 წლის №68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება№-გ-135. 135.135230604 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება და ფრაქციის ოქმი, ახალი წევრის მიღების შესახებ. ფრაქციის შემადგენლობას დაემატა შორენა რატიანი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება№-გ-135. 135.135230606 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის“ შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება და ფრაქციის ოქმი, ახალი წევრის მიღების შესახებ. ფრაქციის შემადგენლობას დაემატა ვიკა ფილფანი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის" შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №-3 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. ფილფანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ვიკა ფილფანის ინიცირებული პროექტის ,,მესტიის მუნიციპალიტეტისთვის რეანომობილის შეძენის" განხილვის შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო წევრებს მისი ინიცირებული პროექტი, ისაუბრა რამხელა საჭიროებას წარმოადგენს რეანომობილის შეძენა მუნიციპალიტეტისთვის, რადგან გეოგრაფიული მდებარეობიდან და რთული კლიმატიდან გამომდინარე გვიან ხდება სათანადო სამედიცინო მომსახურეობის გაწევა.

პროექტი ვერ დამტკიცდა ქორუმის არ არსებობის შედეგად. სხდომის თავმჯდომარემ მომხსენებელს მიმართა სოციალური კომისიასთან ერთად ემუშავათ აღნიშნულ საკითხზე და მომდევნო სხდომისთვის წარმოედგინათ ყველა დოკუმენტაცია.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე